



EP GEORGIA GENERATION

JSC "EP GEORGIA GENERATION"
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
ID Code: 405182626

სს „მე ჯორჯია გენერაცია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24
0186 თბილისი, საქართველო
სარ. კოდი: 405182626

60000536

19.03.2025

შ.პ.ს „ემ & ეს“-ის დირექტორს მანუჩარ ქათამაძეს
(ს/ნ 405492426, მის.: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი,
დიდი დიდმის დასახლება, გიორგი ბრწყინვალეს ქ. № 25, ბინა № 22)

შ.პ.ს „ემ კაპიტალის“ დირექტორს მიხეილ ვერულაშვილს
(ს/ნ 405491276, მის.: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი,
დიდმის მასივი, VI კვარტალი, კორპუსი № 19, ბინა № 84)

შ.პ.ს „აპტოს“-ის დირექტორს გიორგი სულამანიძეს
(ს/ნ 202253602, მის.: საქართველო, ქ. თბილისი
სამგორის რ-ნი, გ. ამილახვრის ქ. № 15)

ასლი: საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენს
ბატონ ოთარ დანელიას
(მის.: საქართველო, ქ. თბილისი 0114, ინგოროყვას ქ. № 7)

საქართველოს პირველ ვიცე-პრემიერს, საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს
(მის.: საქართველო, ქ. თბილისი, ზვ. გამსახურდიას სანაპირო № 1)

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას
(მის.: საქართველო, ქ. თბილისი 0114, ინგოროყვას ქ. № 7)

ქალაქ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით ჩერქეზიშვილს
(მის.: საქართველო, ქ. ტყიბული, კარლო ლომაძის მოედანი № 3)

ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დირექტორთა საბჭოს წევრს,
დირექტორს ოპერატიული რეჟიმებისა და დისპეტჩერიზაციის საკითხებში
ბატონ გიორგი ამუზაშვილს
(მის.: საქართველო, ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. № 2)

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ დავით სონღულაშვილს
მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის #34, 0159,
ტელ:+ 995(32) 2 47 01 01
ელ.ფოსტა: info@mepa.gov.ge



EP GEORGIA GENERATION

JSC "EP GEORGIA GENERATION"
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
ID Code: 405182626

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24
0186 თბილისი, საქართველო
სარ. კოდი: 405182626

ბატონებო,

ს.ს „ეპ ჯორჯია გენერაცია“-მ შემდგომში კომპანიამ განიხილა თქვენი 2025 წლის 26 თებერვლის ერთობლივი განცხადება (კომპანიაში რეგისტრაციის თარიღი 04.03.2025 წ.; № 10000638), რომლითაც ითხოვთ ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეძენილ კუნძულებთან დაკავშირებული საკითხის განხილვა/გადაწყვეტას. ასევე, განხილულია მიმდინარე წლის 17 მარტის დამატებით შემოსული შპს „აპტო“-ს განცხადება იგივე საკითხიდან გამომდინარე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ კომპანია კვლავ იზიარებს იმ პოზიციას, რომელიც მას კუნძულების გასხვისებამდე ჰქონდა. მას შემდეგ, რაც კომპანიისათვის მასობრივი საინფორმაციო საშუალებიდან ცნობილი გახდა, რომ 2023 წლის 28 დეკემბერს, ტყიბულის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონული აუქციონის საშუალებით დაგეგმილი ჰქონდა ტყიბულის წყალსაცავში არსებული კუნძულების გაყიდვა, 2023 წლის 27 დეკემბრის #30000118 წერილით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპანიის მხრიდან წერილობითი ფორმით გაეგზავნა ენერგოკომპანიის პოზიცია და დასაბუთებული არგუმენტაცია წყალსაცავში მდებარე კუნძულებზე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ რისკ-ფაქტორებზე. კერძოდ, ტყიბულის წყალსაცავთან ოპერირებს კომპანიის საკუთრებაში არსებული ჰიდროელექტროსადგური „ძევრულჰესი“, რაც ცხადია, გარკვეულწილად განაპირობებს წყალსაცავზე ზემოქმედებას და ამ ობიექტის სამოქმედო არეალში (ტყიბულის წყალსაცავი) არსებული კუნძულების გასხვისების დროს, წყალსაცავის რეჟიმების შესახებ პოტენციური მყიდველი სავალდებულოდ ინფორმირებული უნდა იყოს, ვინაიდან ძევრულჰესი ქვეყნისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ჰიდროელექტროსადგურია და ძევრულჰესის წყალსაცავი ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავია. მასში აკუმულირებული წყალი წარმოადგენს ქვეყნის ენერგოსისტემისთვის საიმედო და შეუცვლელ ენერგეტიკულ მარაგს, რაც ცხადია, არსებითად მნიშვნელოვანია ენერგოსტაბილურობის მიზნებიდან გამომდინარე. საქართველოს ენერგოსისტემის საჭიროების მიხედვით, ძევრულჰესი მუდმივად ახორციელებს წყალსაცავში მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის ეფექტურ და რაციონალურ მართვას, რაც უზრუნველყოფს ჰესის მაღალი ენერგეტიკული მაჩვენებლებით მუშაობას, წყალმცირებისა და გაზრდილი ელექტრომოთხოვნილების პირობებში, რათა უზრუნველყოს ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის მდგრადი ფუნქციონირება და მომხმარებლისთვის ელექტროენერჯის წარმოება ქვეყნის შიდა მოხმარების დასაკმაყოფილებლად. უდავოდ საყურადღებოა ძევრულჰესის წყალსაცავის (ტყიბულის წყალსაცავი) ჰიდროლოგიური რეჟიმი. კერძოდ, ძევრულჰესი მუდმივად ახორციელებს ტყიბულის წყალსაცავში მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის ეფექტურ და რაციონალურ მართვას, მათ შორის წყალდიდობის და წყალმოვარდნისას – მაქსიმალური წყლის ხარჯების შემცირებას მდინარის ჩამონადენის ნაწილის წყალსაცავში აკუმულირებით, რის შედეგადაც უმჯობესდება ქვედა ბიეფში წყალდიდობის და წყალმოვარდნის გატარების პირობები და უზრუნველყოფილია მოსახლეობის დაცვა დატბორვისაგან. დამატებით აღვნიშნეთ, რომ წყალსაცავის შევსება ხდება გაზაფხულზე წყალუხვობის პერიოდში (მაქსიმალურ საპროექტო მუშა ნიშნულამდე - 525.4 მ). სასარგებლო წყლის მოცულობის დამუშავება (მინიმალურ საპროექტო მუშა ნიშნულამდე - 515.5 მ) მიმდინარეობს



EP GEORGIA GENERATION

JSC "EP GEORGIA GENERATION"
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
ID Code: 405182626

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24
0186 თბილისი, საქართველო
სარ. კოდი: 405182626

წყალმცირობის პერიოდში ელექტროენერჯის მოხმარების ზრდის დროს ქვეყნის ენერგოსისტემის საჭიროებიდან გამომდინარე. და ბოლოს, არსებითად მნიშვნელოვანი გარემოება გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მიერ აუქციონის წესით გაყიდული ე.წ თავისუფალი მიწის ნაკვეთები (კუნძულები): საკადასტრო კოდით: 39.03.32.268 (მიწის ფართობი-315018 მ²); საკადასტრო კოდით: 39.03.32.264 (მიწის ფართობი -31828 მ²) და აუქციონზე განმეორებით გასაყიდად გამოტანილი მიწის ნაკვეთი (კუნძული) საკადასტრო კოდით: 39.03.32.271 (მიწის ფართობი -21421 მ²); გარკვეული ნაწილი მოქცეულია უშუალოდ ძვერულჰესის წყალსაცავის (ტყიბულის წყალსაცავი) საპროექტო საექსპლუატაციო არეალში (წყლით დაფარვის არეალში), ხოლო ნაწილი - წყალდაცვით ზოლში. ისეთი საქმიანობა, რაც დაკავშირებული იქნება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განთავსებასთან, ხოლო ექსპლუატაციის პერიოდში ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფაქტორთან, შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ წყალსაცავის მუშა დიაპაზონის გავლენის ზონის გარეთ. წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას, ცხადია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები, დადგენილი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები.

ანალოგიური პოზიცია განმეორებით დაფიქსირდა კომპანიის მიერ 2024 წლის 19 მარტის #30000172 წერილით, როცა ტყიბულის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ აუქციონზე 11.03.2024 - 25.03.2024 პერიოდისათვის ტყიბულის წყალსაცავში არსებული კუნძული განმეორებით გაიტანა გასაყიდად. კომპანიის პოზიცია კიდევ ერთხელ წერილობით ეცნობა: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა დაინტერესებულ მხარეს.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ რაც კომპანიისთვის მასობრივი საინფორმაციო საშუალებიდან ცნობილი გახდა, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონული აუქციონის გზით, ტყიბულის წყალსაცავში არსებული კუნძულების გასხვისების შესახებ, კომპანიის მიერ მრავალგზის იქნა წერილობითი ფორმით დაფიქსირებული საკუთარი პოზიცია ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავში მდებარე კუნძულებზე ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობით გამოწვეული მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების შესახებ. წყალსაცავში მდებარე კუნძულებზე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, დაგვეთანხმებით, რომ ყველა მხარის შეთანხმებული/უდაო პოზიციაა, რომ კუნძულების განვითარების დაგეგმვისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ საკითხებთან დაკავშირებული ქვეყანაში არსებული ყველა მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტი და საფრთხის შემცველი ფაქტორები. ეს აუცილებელია ინვესტიციის დაგეგმვისას, ვინაიდან რისკ-ფაქტორები გარდაუვალია ენერგოსტაბილურობის მიზნების, ძვერულჰესის წყალსაცავის ჰიდროლოგიური რეჟიმიდან და მესამე პირების ქონების, ჯანმრთელობის/სიცოცხლის დაცვიდან გამომდინარე. რისკ-ფაქტორების



EP GEORGIA GENERATION

JSC "EP GEORGIA GENERATION"
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
ID Code: 405182626

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24
0186 თბილისი, საქართველო
სარ. კოდი: 405182626

გათვალისწინებლობისა და რეგულაციების დაუცველობის შემთხვევაში, ცხადია, კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას წარმოშობილი ნებისმიერი სახის შესაძლო ზარალზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საყურადღებოა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) 2024 წლის 8 აპრილის N 21 / 3577 წერილში და მ/წლის 17 მარტის დამატებით შემოსულ შპს „აპტო“-ს განცხადებაში არსებული პოზიცია წყალსაცავში არსებულ კუნძულებზე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ რისკ-ფაქტორებზე. კერძოდ, 2024 წლის 8 აპრილის N 21 / 3577 წერილში არსებული დასკვნა გაცემულია კომპანიის მიმართვის საფუძველზე, სადაც სააგენტოს პოზიციას წარმოადგენს წყალსაცავის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინება, დეტალური საინჟინრო-ჰიდროლოგიური მახასიათებლების დამუშავება და ძვერულა ჰესის შეუფერხებელი ექსპლუატაცია. აღნიშნული გულისხმობს ჰესის ნორმალური ენერგეტიკული პარამეტრებით ოპერირებას. ხოლო, 2024 წლის 15 ნოემბერს შპს, „აპტოს“ მიმართვის საფუძველზე სააგენტოს მიერ გაკეთებული დასკვნა (რომელსაც კომპანია გაეცნო 2025 წლის 17 მარტს) ასახავს შემდეგს, რომ კუნძულების მდგრადი გამოყენებისათვის საჭიროა ენერგოკომპანიასთან ერთად მიღწეულ იქნეს წყალსაცავის წყლის დონის მართვის საკითხები, რაც ცალსახად ვერ უზრუნველყოფს ჰესის ნორმალური ენერგეტიკული პარამეტრებით ოპერირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს განმარტებებითა და დასკვნებით *„წყალდიდობის პერიოდში წყლის მაღალი შემოდინებისა და წყალსაცავის წყლის დონის მატების დროს, მაქსიმალური საპროექტო ტუმბო ნიშნულის დაფიქსირებისას, აღნიშნული ტერიტორია მთლიანად იტბორება“*. ამას ენერგოკომპანია წინ ვერ აღუდგება. სრულიად ვეთანხმებით გარემოს დაცვის პათოსს, რომ რისკ-ფაქტორები გარდაუვალია, ძვერულჰესის წყალსაცავის ჰიდროლოგიური რეჟიმიდან გამომდინარე, რომელიც დამოუკიდებლად ენერგოკომპანიის საქმიანობისა გარადაუვალია. განსაკუთრებით კი მიმდინარე კლიმატის ცვლილების ფონზე. ცხადია, თქვენს მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, სავალდებულოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული წყალსაცავის ჰიდროლოგიური რეჟიმი-იგულისხმება წყალდიდობა/წყალმოვარდნის აკუმულირება წყალსაცავში, რაც გამორიცხავს წყალსაცავის ქვედა ბიეფში ექსტრემალურ წყალგამშვებას და მასთან დაკავშირებულ რისკებს. გარდა ამისა, ვინაიდან, ძვერულჰესის კაშხლის პროექტირების, მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობებში არ არის გათვალისწინებული წყალსაცავში მდებარე კუნძულებზე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობა, დაუშვებელია ყოველგვარი საფრთხის შემცველი ქმედების განხორციელება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ძვერულჰესის მიწის კაშხლის (კაშხლით შეიქმნა წყალსაცავი) და ჰიდროტექნიკური ნაგებობების დაზიანება.

ამდენად, სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“-ს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესწავლილი აქვს მითითებული საკითხი (თუმცა კომპანიისთვის უცნობია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაცია/დაწესებულებების მიერ გაცემულ დასკვნა-რეკომენდაციები, სანებართვო და/ან სხვა



EP GEORGIA GENERATION

JSC "EP GEORGIA GENERATION"
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
ID Code: 405182626

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24
0186 თბილისი, საქართველო
სარ. კოდი: 405182626

დოკუმენტაცია) და მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გამოვთქვამთ მზადყოფნას მონაწილეობა მივიღოთ საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის წარმომადგენლებისა და თქვენი მონაწილეობით გამართულ შეხვედრაში, რათა დეტალურად მოხდეს არსებული გამოწვევების განხილვა და მათი დაძლევის გზების გამოძებნა, რაც ამ საკითხით დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებით, კონსენსუსამდე მიგვიყვანს.

პატივისცემით,

დიან დიმოვი 
დირექტორთა საბჭოს წევრი

საქართველოს ფოსტა



უკუგზავნილის დეტალები

გზავნილი

ფოსტის გზავნილის კოდი: AP01507553270

გზავნილის სახეობა: წერილი, მცირე პაკეტი, M ტომარა

სტატუსი: დაბრუნებულია გამგზავნთან

გამგზავნის თარიღი: 20/3/2025 11:01

შემსრულებელი:

გამგზავნი

გამგზავნის დასახელება: სს "ეკ ჯორჯია გენერაცია" (405182626)

გამგზავნის მისამართი: სანდროეულის ქ. N1, თბილისი, საქართველო

გამგზავნის გზავნილის ნომერი: 60000536

ადრესატი

ადრესატი: შპს „ემ & ეს“-ის დირექტორს მანუჩარ ქათამაძეს()

ადრესატის მისამართი საბურთალოს რ-ნი, დიდი დიღმის დასახლება, გიორგი ბრწყინვალეს ქ. № 25, ბინა № 22, თბილისი, საქართველო

მომხმარებელი

სახელი, გვარი: მარიამ ბერუაშვილი

ქმედების თარიღი: 03/4/2025 14:01

მიმღები

მიზეზი: შენახვის ვადის გასვლის გამო

მიზეზის აღწერა: ბრუნდება შენახვის ვადის გასვლისა და მოუკითხაობის გამო



საქართველოს ფოსტა



უკუგზავნილის დეტალები

გზავნილი

ფოსტის გზავნილის კოდი: AP01507552943

გზავნილის სახეობა: წერილი, მცირე პაკეტი, M ტომარა

სტატუსი: დაბრუნებულია გამგზავნთან

გაგზავნის თარიღი: 11/4/2025 14:45

შემსრულებელი:

გამგზავნი

გამგზავნის დასახელება: სს "ეპ ჯორჯია გენერაცია" (405182626)

გამგზავნის მისამართი: სანდროეულის ქ. N1, თბილისი, საქართველო

გამგზავნის გზავნილის ნომერი: 60000536

ადრესატი

ადრესატი: შპს „ემ & ეს“-ის დირექტორთან მანუჩარ ქათამაძეს()

ადრესატის მისამართი ჭაბუა ამირეჯიბის გზატ. № 6, ბინა № 12
, თბილისი, საქართველო

მომხმარებელი

სახელი, გვარი: ლირა გორდულაძე

ქმედების თარიღი: 17/4/2025 10:58

მიმღები

მიზეზი: შენახვის ვადის გასვლის გამო

მიზეზის აღწერა: .კურიერმა დატოვა შეტყობინება და გზავნილი შენახვის ვადის გასვლის და მოუკითხაობის გამო უბრუნდება გამომგზავნს